

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №273/04
2023 წლის 9 ოქტომბერი

ქ. თბილისი

მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 47-ე მუხლის, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესი თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

კომერციულმა ბანკებმა ამ ბრძანების ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი/
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

ნათელა თურნავა

მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (შემდგომში – „SWIFT“) შეტყობინებების სკრინინგის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება.
- ეს წესი განსაზღვრავს SWIFT შეტყობინებების კატეგორიებსა და ველებს, აგრეთვე, სიებს, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს სკრინინგი და სკრინინგის განხორციელების პროცესისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მოთხოვნებს.
- ეს წესი ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებზე (შემდგომში – „ბანკები“).
- ამ წესით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება ნებისმიერ ვალუტაში განხორციელებულ როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ოპერაციების SWIFT შეტყობინებაზე (კატეგორია 1-იდან (category 1 (series 1xx)) კატეგორია 9-მდე (category 9 (series 9xx))). ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები აგრეთვე ვრცელდება SWIFT MX შეტყობინებების (ISO 20022) ეკვივალენტურ შეტყობინებებზე.
- ბანკებს უნდა ჰქონდეთ დანერგილი SWIFT შეტყობინების სკრინინგის სათანადო კონტროლები და სკრინინგის სისტემა, რათა უზრუნველყონ სრულად შესაბამისობა ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.
- ეს წესი არ ვრცელდება საქართველოს საბანკო სისტემაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების



სისტემის (RTGS) გამოყენებით განხორციელებულ ოპერაციებზე.

7. საკორესპონდენტო ურთიერთობის ფარგლებში ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება როგორც საქართველოში მოქმედი კორესპონდენტი ბანკების, ასევე რესპონდენტი ბანკების მიმართ.

მუხლი 2. სიები, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს სკრინინგი

1. ბანკებს ევალებათ SWIFT შეტყობინებების სკრინინგი განახორციელონ სულ მცირე შემდეგ სიებთან მიმართებით:

ა) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების მიერ სანქციათა რეჟიმების შესრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №208/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში – სანქციათა რეჟიმების შესრულების წესი) მე-2 მუხლით განსაზღვრულ სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებულ სანქციადაკისრებულ პირთა სიებთან;

ბ) ბანკების შიდა ინსტრუქციით განსაზღვრული სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებულ სანქციადაკისრებულ პირთა სიებთან, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სიებისა.

2. ბანკებმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სანქციათა რეჟიმების (შემდგომში – „სანქციათა რეჟიმები“) გათვალისწინებით უნდა შეიმუშაონ დამატებითი სიები, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს SWIFT შეტყობინებების სკრინინგი (ორგანიზაციული რისკის ანალიზისა და რისკის აპეტიტის გათვალისწინებით). აღნიშნული სიები უნდა ითვალისწინებდეს:

ა) გეოგრაფიულ დასახელებებს, რომლებიც მოიცავს ქვეყნებს და მათ კოდებს ISO 3166-1 სტანდარტის შესაბამისად, სანქციათა რეჟიმების ქვეშ მყოფ რეგიონებს, ქვეყნის ან რეგიონის ძირითად ქალაქებს, პორტებს და აეროპორტებს;

ბ) საკვანძო სიტყვებს, რომლებიც უკავშირდება სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებულ სავაჭრო შეზღუდვებს და სექტორულ სანქციებს;

გ) სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებული ბანკების BIC მისამართებს.

3. ორგანიზაციული რისკის ანალიზისა და რისკის აპეტიტის გათვალისწინებით, ბანკები ვალდებული არიან შეიმუშაონ სია, რომელიც ითვალისწინებს სანქციადაკისრებული პირების ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრებს (ფქსს – ISIN), სანქცირებულ ISIN-ებს.

მუხლი 3. SWIFT შეტყობინებების სკრინინგი

1. ბანკები ვალდებული არიან განახორციელონ ნებისმიერ ვალუტაში განხორციელებული როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო ოპერაციების ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული SWIFT შეტყობინებების სკრინინგი.

2. ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული MT103, MT202, MT202COV კატეგორიების SWIFT შეტყობინებების სკრინინგი უნდა განხორციელდეს ავტომატურად. ბანკები ვალდებული არიან ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული სხვა კატეგორიის/კატეგორიების SWIFT შეტყობინებების სკრინინგის პროცესი წარმართონ იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სანქციათა რეჟიმების დარღვევის/გვერდის ავლის რისკი და უზრუნველყონ პროცესის ეფექტურობა.

3. ბანკები უფლებამოსილნი არიან არ განახორციელონ ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული გადარიცხვის ოპერაციების დროს MT202COV კატეგორიის SWIFT შეტყობინებების სკრინინგი, იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებენ გადარიცხვის ოპერაციის შესაბამის MT103 კატეგორიის სკრინინგს, MT103 და MT202COV SWIFT მესიჯის გენერირება ხდება ერთდროულად, ავტომატურ რეჟიმში და შეუძლებელია MT202COV SWIFT მესიჯის ველის/ველების მოდიფიცირება. სხვა შემთხვევაში, ბანკები ვალდებული არიან მოახდინონ ამ წესის დანართი №4-ით გათვალისწინებული შესაბამისი ველის/ველების ავტომატური სკრინინგი. ბანკებს უნდა ჰქონდეთ დანერგილი შესაბამისი პროცესი იმისთვის, რომ გადარიცხვის MT103 SWIFT მესიჯის სკრინინგის სისტემის მიერ დამატებით შესწავლისთვის შეჩერების შემთხვევაში, ავტომატურად შეჩერდეს დაკავშირებული MT202COV SWIFT მესიჯი.



4. ბანკები უფლებამოსილნი არიან ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული MT103, MT202, MT202COV კატეგორიების SWIFT შეტყობინებების 70 (Remittance Information) და 72 (Sender to Receiver Information) ველების სკრინინგი განახორციელონ მანუალურად, თუ უზრუნველყოფენ ორგანიზაციული რისკის ანალიზისა და შესაბამისი SWIFT შეტყობინების რაოდენობის გათვალისწინებით პროცესის ეფექტურობას.

5. იმ SWIFT შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესის დანართი №1-ით, ბანკებმა თავად უნდა შეაფასონ SWIFT შეტყობინების სკრინინგის საჭიროება სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება არაავტორიზებულ SWIFT შეტყობინებებზე.

მუხლი 4. SWIFT შეტყობინებების ველების სკრინინგი

1. ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული MT103, MT202, MT202COV კატეგორიების SWIFT შეტყობინებების მიმართ ბანკები ვალდებული არიან განახორციელონ ამ წესის დანართი №2-ით, დანართი №3-ით და დანართი №4-ით გათვალისწინებული ველების სკრინინგი.

2. ბანკები უფლებამოსილნი არიან SWIFT შეტყობინებების ნაცვლად განახორციელონ ბანკის საოპერაციო სისტემაში არსებული მონაცემების ავტომატური სკრინინგი, თუ მასში სრულად აისახება გადარიცხვის/ჩარიცხვის ოპერაციის SWIFT შეტყობინებაში არსებული ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, SWIFT-ის სხვა კატეგორიის შეტყობინებების მიმართ, ბანკებმა თავად უნდა შეაფასონ თითოეული ველის სკრინინგის საჭიროება სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის ან მოახდინონ სრული SWIFT შეტყობინების სკრინინგი ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად. ბანკებს აღნიშნული შეფასება შესაბამისი დასაბუთებით უნდა ჰქონდეთ დოკუმენტირებული.

4. ბანკებს უფლება აქვთ არ განახორციელონ SWIFT შეტყობინებების გარკვეული ველების სკრინინგი ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული რომელიმე სიის მიმართ, შესაბამისი ველის, სიის შინაარსისა და რელევანტურობიდან გამომდინარე. ბანკებს აღნიშნული გადაწყვეტილება შესაბამისი დასაბუთებით უნდა ჰქონდეთ დოკუმენტირებული.

მუხლი 5. დროის რეალურ რეჟიმში სკრინინგი

1. ბანკებმა SWIFT შეტყობინების სკრინინგი უნდა განახორციელონ რეალურ დროში, ოპერაციის შესრულებამდე, იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ ოპერაციის უარყოფა/ბლოკირება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, სანქციათა რეჟიმების შესრულების წესის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული წერილობითი მითითების ან/და შიდა ინსტრუქციის შესაბამისად.

2. ბანკებმა უნდა უზრუნველყონ სატესტო გარემოს არსებობა SWIFT შეტყობინებების სკრინინგისთვის, რომელიც ზუსტად ასახავს ოპერაციების განხორციელების რეალურ გარემოს.

მუხლი 6. დამთხვევის ალგორითმი

1. ბანკებს უნდა ჰქონდეთ დანერგილი შესაბამისი ალგორითმი იმისთვის, რომ დააიდენტიფიცირონ მცირე სახესხვაობები/ალტერაციები და ტრანსლიტერაციები.

2. ბანკებს გაანალიზებული უნდა ჰქონდეთ დამთხვევის ალგორითმი და მისი ეფექტურად ფუნქციონირების შემოწმებისთვის უნდა ახორციელებდნენ მის რეგულარულ ტესტირებას სახესხვაობებით/ალტერაციებით და ტრანსლიტერაციებით.

მუხლი 7. განმეორებული ოპერაციის იდენტიფიცირება

ბანკებს დანერგილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მექანიზმები იმ პოტენციური ოპერაციის განმეორების შემთხვევის იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც უკვე იყო სანქციათა რეჟიმებთან დაკავშირებული მიზეზით უარყოფილი/დაბლოკილი.

მუხლი 8. დამთხვევის განხილვის პროცესი

1. სკრინინგის სისტემის მიერ აღმოჩენილი დამთხვევები უნდა იყოს სათანადოდ შესწავლილი ბანკების შესაბამისი თანამშრომლების მიერ, რათა დარწმუნდნენ, რომ ოპერაციაში არ მონაწილეობს



სანქცირებული პირი და სახეზე არ არის სანქციათა რეჟიმების დარღვევის/გვერდის ავლის მცდელობა.
 2. თუ ბანკები ვერ ადასტურებენ SWIFT ოპერაციის დროს კავშირის არარსებობას სანქციადაკისრებულ პირთან და სანქციების დარღვევის/გვერდის ავლის მცდელობასთან, ოპერაცია უარყოფილი უნდა იქნეს ან დაიბლოკოს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტის/წერილობითი მითითებისა ან/და შიდა ინსტრუქციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დანართი №1

MT101	Request for Transfer
MT102	Multiple Customer Credit Transfer
MT103	Single Customer Credit Transfer
MT104	Direct Debit and Request for Debit Transfer Message
MT195	Queries
MT196	Answers
MT198	Proprietary Message
MT199	Free Format Message
MT200	Financial Institution Transfer for its Own Account
MT201	Multiple Financial Institution Transfer for its Own Account
MT202	General Financial Institution Transfer
MT202COV	General Financial Institution Transfer
MT203	Multiple General Financial Institution Transfer
MT204	Financial Markets Direct Debit Message
MT205	Financial Institution Transfer Execution
MT205COV	Financial Institution Transfer Execution
MT295	Queries
MT296	Answers
MT298	Proprietary Message
MT299	Free Format Message
MT304	Advice/Instruction of a Third Party Deal
MT321	Instruction to Settle a Third Party Loan/Deposit
MT330	Call/Notice Loan/Deposit Confirmation
MT395	Queries
MT396	Answers
MT398	Proprietary Message
MT399	Free Format Message



MT400	Advice of Payment
MT430	Amendment of Instructions
MT450	Cash Letter Credit Advice
MT455	Cash Letter Credit Adjustment Advice
MT495	Queries
MT496	Answers
MT498	Proprietary Message
MT499	Free Format Message
MT516	Securities Loan Confirmation
MT518	Market-Side Securities Trade Confirmation
MT519	Modification of Client Details
MT540	Receive Free
MT541	Receive Against Payment
MT542	Deliver Free
MT543	Deliver Against Payment
MT565	Corporate Action Instruction
MT595	Queries
MT596	Answers
MT598	Proprietary Message
MT599	Free Format Message
MT700	Issue of a Documentary Credit
MT701	Issue of a Documentary Credit
MT705	Pre-Advice of a Documentary Credit
MT707	Amendment to a Documentary Credit
MT708	Amendment to a Documentary Credit (Continued)
MT710	Advice of a Third Bank's or a Non- Bank's Documentary Credit
MT711	Advice of a Third Bank's Documentary Credit
MT720	Transfer of a Documentary Credit
MT721	Transfer of a Documentary Credit
MT732	Advice of Discharge
MT750	Advice of Discrepancy
MT752	Authorisation to Pay, Accept or Negotiate



MT754	Advice of Payment/Acceptance/Negotiation
MT759	Ancillary Trade Structured Message
MT760	Guarantee
MT767	Guarantee Amendment
MT795	Queries
MT796	Answers
MT798	Proprietary Message
MT799	Free Text Format
MT995	Queries
MT996	Answers
MT998	Proprietary Message
MT999	Free Format Message

დანართი №2

MT103

Header Block 1	Message Sender (BIC)
Header Block 2	Message Receiver (BIC)
50a	Ordering Customer
51A	Sending Institution
52a	Ordering institution
53a	Sender's Correspondent
54a	Receiver's Correspondent
55a	Third Reimbursement Institution
56a	Intermediary Institution
57a	Account with Institution
59a	Beneficiary Customer
70	Remittance Information
72	Sender to Receiver Information



MT202

Header Block 1	Message Sender (BIC)
Header Block 2	Message Receiver (BIC)
52a	Ordering institution
53a	Sender's Correspondent
54a	Receiver's Correspondent
56a	Intermediary Institution
57a	Account with Institution
58a	Beneficiary Institution
72	Sender to Receiver Information

MT202COV

Header Block 1	Message Sender (BIC)
Header Block 2	Message Receiver (BIC)
50a	Ordering Customer
52a	Ordering Institution
53a	Sender's Correspondent
54a	Receiver's Correspondent
56a	Intermediary Institution
57a	Account with Institution
58a	Beneficiary Institution
59a	Beneficiary Customer
70	Remittance Information
72	Sender to Receiver Information

